



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს პარლამენტის
ჯიოვანი ბიბლიოთეკა

უცნობი ავტორი

ცხოვრებად და
მოქალაქეობად
წმიდისა მამისა
ჩუენისა ილარიონ
ქართველისად

უცნობი ავტორი
ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა მამისა
ჩუენისა ილარიონ ქართველისად

ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაად

I. ესე წმიდაად მამად ჩუენი ილარიონ იყო ნათესავით ქართველი, ქუეყანით კახეთით, შვილი აზნაურთა მდიდართად. ხოლო ამისსა მამასა ესხნეს სხუანიცა შვილნი. ხოლო ესე ილარიონ აღთქუმულ იყო მშობელთაგან მისთა, ვითარცა სამოელი ღმრთისა. და ვითარცა იქმნა ექუსისა წლისა, მიეცა სწავლად კაცსა ღირსსა, რომელიცა იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა მამად მის ნეტარისაად, და ასწავლიდა იგი მას წიგნსა სულიერსა დღე და ღამე. და ვითარცა იხილა მამამან მისმან სწრაფით სწავლად მისი ბერისა მისგან, იწყო ყოვლისა საკმრისა მიცემად უხუებით. და იწყო ადგილსა მას შენებად მონასტრად, და შეკრბეს მონაზონნი ათექუსმეტნი ოდენ. და მარადის მოვალ[ნ] მამად მისი შენებისათჳს მის ადგილისა. და ვითარ იხილა ზედადსზედა მოსლვად იგი მამისა თჳსისაად, მოეკსენა სიტყუად იგი წმიდისა სახარებისაად, ვითარმედ: „რომელმან არა დაუტეოს მამად თჳსი და დედად თჳსი და არა აღილოს ჯუარი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“, და განიზრახა წარსლვად უშორესსა უდაბნოსა.

II. და აღდგა და წარვიდა იგი უდაბნოსა გარეჯისასა. და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი მოღუაწენი და მახლობელად მათსა ქუაბი ერთი მცირე, შევიდა და დაემკვდრა მას შინა. და იყო ჰასაკითა ვითარ ათოთხმეტისა წლისა, და წარემატა მოღუაწებითა მყოფთა მის ადგილისათა უდაბნოსა მას შინა მარხვითა და ლოცვითა, რომელ ყოველთა უკვრდა ეგეოდენი მისი შრომად და მოთმინებად. და აღემენებოდეს ყოველნი იგი ძმანი სწავლითა მისითა და შეუვრდებოდეს მას, რათა იყოფებოდინ მის თანა. და შეიწყნარნა მის თანა ათერთმეტნი ძმანი მოღუაწენი მშჳდნი და მდაბალნი. და იყვნეს ვითარცა ანგელოზნი მარხვითა და გალობითა, ვიდრემდის განითქუა ღირსებად მისი მას ქუეყანასა. და ესმა ეპისკოპოსსა რუისთველსა ღირსებად მისი, აღდგა და მივიდა მოკითხვად მისა. იხილა რად პირი მისი ყვთელი და სიტყუად მდაბალი [და] სამოსელი შეურაცხი,

მოიკითხა იგი ამბორის-ყოფითა წმიდითა და ჰრქუა: „მრავლით ჟამითგან მინდა ხილვად შენი, შვილო ილარიონ, და ღირს ვიქმენ მე ცოდვილი ესე მიღებად[წმიდისა] ლოცვისა შენისა. და სრულ-ყავ საწადელი ჩემი, რათა მიიღო დღეს მღდელობად ჩემ მიერ გლახაკისა ამის“. ჰრქუა მას ილარიონ: „მამაო, კელთა შინა შენთა ვარი, რადცა ენებოს ღირსებასა შენსა, იგიცა-ყოს ჩემ ზედა“. მაშინ აღდგა ეპისკოპოსი იგი და აკურთხა იგი მღდელად, და მოიღეს ლოცვა ურთიერთას. და წარვიდა ეპისკოპოსი იგი და მიუთხრობდა ყოველსა ერსა სათნოებათა მისთა. და მრავალნი შორით ქუეყანით მოვიდოდეს ხილვად და მოღებად ლოცვისა მისისა. მაშინ გამოირჩია ძმაჲ ერთი და დაადგინა წინამძღურად ადგილსა თვსსა.

III. და წარიყვანა ძმაჲ ერთი და წარემართა იგი წმიდად ქალაქად იერუსალიმად. და ვითარ მიიწინეს იგინი ქუეყანასა მას შამისასა, დაემთხვნეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა და იჭადეს მახვლები, რათამცა სცეს წმიდასა ილარიონს. მეყსეულად განუჭმეს კელნი მათნი და ვერ შეუძლეს ქუე ჩამოღებად.

მაშინ იწყეს ტირილად და ვედრებად მისა, და მიუდგეს უკუანა, ვითარ ხუთ უტევან. მაშინ მიექცა წმიდაჲ ილარიონ და დასწერა ჯუარი და განკურნნა იგინი და წარგზავნნა ცოცხლებით. ხოლო მათ ვითარ იხილეს მსწრაფლ განკურნებაჲ, მოართუეს მას პური და კერატი, და ითხოვდეს შენდობასა და ეტყოდეს მას ენითა მათითა, რათა არასადა-ყონ ესრეთ მონაზონთა ზედა. და ერთი მათგანი წარჰყვა ვიდრე მთამდე [თაბორისა], სადა- იგი ფერი იცვალა უფალმან ჩუენმან დიდებით. ილოცეს მუნ და მიერ წარვიდეს წმიდად ქალაქად იერუსალიმად და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი.

IV. და მერმე განვიდა ლავრასა წმიდისა საბაძსა და იორდანისა უდაბნოთა, დაყო შვიდი წელი ღუაწლითა და შრომითა, რომელ ვერვინ შემძლებელ არს მითხრობად. და მარადის ევედრებოდა ღმერთსა, რათა გამოუცხადოს უმჯობესი სულისა მისისაჲ, რომელი სთნავს ღმერთსა.

ღამესა ერთსა იხილა ჩუენებდ ესე: რეცა მიიტაცა [იგი] მთასა ზეთისხილთასა, სადა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ამაღლდა დიდებით. და იხილა წმიდად დედოფალი ღმრთისმშობელი [და] მარადის ქალწული მარიამ და ათორმეტნი კაცნი ბრწყინვალენი მდგომარენი მის წინაშე. ჰრქუა მას წმიდამან დედოფალმან: „ილარიონ, მიისწრაფე სახედ შენდა და განუმზადე სერი უფალსა“ და ვითარ განიღვძა ჩუენებისა მისგან, გულისწმა-ყო ჩუენებად იგი.

V. აღდგა და წარემართა ქუეყანად თვსად. და ვითარ მივიდა, პოვა, რამეთუ აღსრულებულ იყო მამად მისი და ძმადცა. ხოლო დედამან მისმან მოართუა ყოველი მონაგები მამისა მისისად და ჰრქუა: „წარაგე ესე, შვილო, ვითარცა სათნო გიჩნს“. ხოლო მან აღაშენა ვანი კეთილი და შეიყვანა დედად თვისი და შეწირნა სოფელნი.

და იწყო შენებად მონასტერი მამათათვს, და შეკრიბნა მას შინა ვითარ სამეოცდა ათექუსმეტნი ძმანი ღირსნი და მოღუაწენი, და სხუად მონაგები განუყო გლახაკთა. და ვითარცა იხილა ეშმაკმან კეთილის-მოძულემან შენებად მონასტრისად, აღაშფოთა ნათესავი ამის წმიდისად და იწყო ფიცით შეჩუენებად, რათა დაწუას მონასტერი იგი და წმიდად იგი მოკლას, და კარსაცა მისსა დაასხა ნაწშირი და დაწერა ესრეთ: „იხილონ ყოველთა ესე მონასტერი სამ დღემდე ესრეთ დამწუარი“, და დააგდო იგი კარსა მისსა თანა. ხოლო წმიდად ილარიონ დაადგრა ღამე ყოველ ლოცვასა ღმრთისა მიმართ და ვითარცა მიერულა, იხილა კაცი ბრწყინვალე, რომელი ეტყოდა : „ნუ გეშინინ ილარიონ, დღესვე განისწავლოს იგი და შეგივრდეს ფერჯთა შენთა“. და ვითარცა განთენა, მყის დააკუეთა იგი ეშმაკმან ქუეყანასა ზედა, გორვიდა საწყალობელად და პეროოდა, და აღიღეს მსახურთა და მიიღეს წმიდასა ილარიონს წინაშე და ქუეყანად დააგდეს. ხოლო წმიდამან ილარიონ დასწერა ჯუარი და აღადგინა იგი. მაშინ იწყო ტირილით აღსაარებად პირველთა უგუნურებათა თვსთა და წარვიდა და მოართუა ყოველი მონაგები თვისი, და იქმნა მონაზონ კეთილ მონასტერსა მას შინა. მაშინ განითქუა ჰანბავი მისი და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა და მოართუმიდეს საკმარსა

მრავალსა მონასტრისათვის. ხოლო ვითარცა იხილა ერისა ზედამსზედა მოსლვად და წყინებად და, უნდა ყოველსა ერსა და მეფესაცა მათსა, რათამცა ყვეს [იგი] ეპისკოპოს. მაშინ გამოარჩია ძმად ერთი და დაადგინა წინამძღურად და ჰრქუა: „ილუაწე სულისათვის ამათ ძმათადსა, ვითარცა სულისათვის შენისა, თუ არა მონისა მის მოგეკადოს, რომელი არა მოელოდა უფალსა თვისსა“. და აღიპყრნა ჳელნი და თქუა ზეცად მიმართ: „უფალო, ჳელთა შენთა შევავედრებ ძმათა ამათ“.

VI. და წარიყვანნა მის თანა ორნი ძმანი და წარვიდა მოხილვად პირველთა [მათ] მონასტერთა. და მიერ წარემართა სამეუფოდ ქალაქად კოსტანტინეპოლედ. და ვითარ მიიწია მთასა ულომბოდსასა, პოვა მცირე ეკლესია

შევიდა და იყოფებოდა მას ადგილსა. და ვითარცა მოიწია შაბათი, მოვიდა მონაზონი ერთი აღნთებად კანდლისა და პოვნა იგინი მას შინა. წარვიდა მონასტრად და მოართუა მცირედი პაქსიმადი და ცერცვ დამბალი. მაშინ ევედრა წმიდად ილარიონ ძმასა მას, რათა მოჰგუაროს [წმიდად] სეფე და მცირედ ზედაშე. და ხვალისა დღე მოართუა და აღასრულეს წმიდად ჟამის-წირვად. მაშინ წარვიდა ძმად იგი და მიუთხრა მამასახლისსა მის მონასტრისასა ესე ყოველი. ხოლო იგი აღშფოთნა და თქუა: „ვინ უწყის, თუ კეთილად ზრახვენ“ და ბრძანა შეურაცხებით განძებად მათი. მაშინ წარვიდა იკონომოსი და სსუანიცა ძმანი და მიუთხრეს ყოველივე. ხოლო წმიდამან ილარიონ აღუთქუა, რათა ხვალისაგან წარვიდენ. და მას ღამესა დაადგრა წმიდად დედოფალი ჩუენი ღმრთისმშობელი რისხვით მამასახლისსა მას და ჰრქუა: „რადსა ინებე მათი განძებად, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისათვის ღმრთისა, და არა დაიმარხე მცნებად უცხოთა შეწყნარებისათვის, ვითარ ეტყვის უფალი და ძე ჩემი მდიდარსა მას? ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი და ცხოვნებად არიან! და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“. და ვითარცა განიღვძა მამასახლისმან ჩუენებისა მისგან, ტირილითა მწართა წარვიდა და შეუვრდა ფერჯთა ილარიონისთა და

ითხოვდა შენდობასა პირველისა მისთვის კადნიერებისა და აფუცებდა, რათა არა წარვიდეს მიერ და რათა არა შური იძიოს მისგან წმიდამან დედოფალმან.

მაშინ წმიდამან ილარიონ ალადგინა იგი და ჰრქუა მას: „იქმნეს ნებისაებრ შენისა, მამაო“. ხოლო მამასახლისი ევედრა მას, რათა მოართუმიდენ ევლოგიასა ერთგზის შაბათსა შინა; და მოართუმიდა ნათესავი მამასახლისისაჲ, და ვნებულ იყო ფერჯი მისი მარჯუენე სიყრმითგან. ხოლო დღესა ერთსა მოაქუნდა რაჲ ევლოგიაჲ, დაუბრკოლდა ფერჯი მისი და იტკივნა და ტკივილისა მისგან ცრემლოოდა იგი. ვითარცა იხილა წმიდამან ილარიონ, მოილო ზეთი კანდლისაგან და სცხო და განკურნა ტკივილიცა იგი და ვნებაჲ მისი. განუტევა და ამცნო, რათა არავის უთხრას. ხოლო მან ესე ყოველი მიუთხრა მამასახლისსა და ძმათა ყოველთა, რომელთა ეხილვა იგი. მიერითგან აქუნდა იგი ყოველთა, ვითარცა მოციქული და მოწამე საკვრველებისა მისგან. მაშინ მოვიდეს სამნი სხუანი ძმანი ქართველნი და შეიწყნარნა იგინი წმიდამან ილარიონ, ხოლო ერთი იყო ბერძულ მეტყუელი კეთილად. და მიერითგან განითქუა ჰანზავი მისი ყოველსა ულუმბასა და მოვიდოდეს მრავალნი და აღივსებოდეს სწავლითა მისითა, და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მისცა ესევეითარი მნათობი. და მრავალნი მოქალაქენი მოვიდოდეს და ევედრებოდეს, რათა მიიღებდეს მათგან საჯმარსა. ხოლო მან არა ინება ესე ყოფად, არამედ ესრეთ ჰრქუა მათ, ვითარმედ: „მზრდის ჩუენ წმიდაჲ ღრმთისმშობელი და არა დამაკლებს ჩუენ ჯორცთა საზრდელსა“. და ვითარ იხილეს ესეოდენი იგი უპოვარებაჲ [მისი], ბაძვად მოიყვანნეს მრავალნი, რამეთუ შურებოდა იგი ჯელთ-საქმარსა და მისგან მოირეწდა საჯმარსა, და არავის რას აურვებდა. და ვითარ იხილა განმრავლებაჲ მომავალთაჲ და აწყინებდესცა, მაშინ წმიდამან ილარიონ ჰრქუა მოწაფეთა თვსთა: „შვილნო, აჰა მაქუს ხუთი წელიწადი აქა და ვერ შევედ ქალაქად, რათამცა თაყუანის-ვეც ძელსა ცხორებისასა, აწ თქუენ აღაშენეთ მცირე სენაკი ყორისაჲ“, და ასწავა, ვითარ ჯერ იყო.

VII. და წარიყვანა მოწაფე ერთი და წარვიდა კოსტანტინეპოლედ,

მოილოცა და მიერ წარვიდა ჰრომედ. და ვითარ ვლო ათოთხმეტი დღე, პოვა სამოთხე გარეშე ქალაქისა და კარსა მისსა მკელობელი ერთი მჯდომარე. და დაჯდა იგიცა მის თანა; ჰრქუა მას წმიდამან ილარიონ: „კაცო, აღდეგ და მომართუ ტევანი ერთი ყურბენი“. ჰრქუა მას მკელობელმან მან: „აჰა, მამაო სამოთხე, რადცა გინდეს, მიიღე, რამეთუ მე ვერ შემძლებელ ვარ ცოდვათა ჩემთაგან აღდგომად. და მაქუს აქა ცამეტი წელი, ვინადთგან დავკოჭლდი, და მზრდის მე უფალი ამის აღგილისაჲ». მაშინ სულთ-ითქუნა წმიდამან ილარიონ და ჰრქუა მას: „აღდეგ, ძმაო, უფალსა უბრძანებეს“. და მეყსეულად განემართნეს ფერწნი მისნი. და აღდგა და შევიდა [ვენაჴსა მას], რათამცა მოართუა ნაყოფი. მაშინ აღდგა წმიდაჲ ილარიონ და წარვიდა სხვთ გზით. და ვითარ გამოვიდა კაცი იგი და არა პოვა, ეძიებდა და შევიდა ქალაქად და აქუნდა ტევანი იგი ჴელთა. ხოლო ვითარცა იხილა ერმან მან [ქალაქისამან] საკვრველი იგი, ჴკითხვიდეს კაცსა მას, და მან უთხრა ყოველივე, ვითარ განიკურნა და ნიშანი მათი. და ეძიებდეს მრავალ ჟამ და არა პოვე სმათ წმიდაჲ იგი.

VIII. და ნებითა ღმრთისაჲთა მივიდეს ჰრომედ და ილოცეს. და დაყო ჰრომს შინა ორი წელიწადი. და მოიქცა კოსტანტინეპოლედვე. და ვითარ მოიწია თესალონიკედ, და დაჯდა კართა ზედა მთავრისა მის ქალაქისათა და, აჰა მწვეალმან მის მთავრისამან გამოიყვანა ძე მთავრისა მის ოთხისა წლისაჲ, ნახევარ მიღებული და დადვა იგი მზისა პირსა, მახლობელად წმიდისა ილარიონისსა. ჰრქუა წმიდამან ილარიონ ქალსა მას: „დედაკაცო, წარვედ და მომართუ მე წყალი“. და ვითარცა წარვიდა დედაკაცი იგი, მაშინ წმიდამან ილარიონ ჯუარი დასწერა ყრმასა მას და თქუა: „სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, შენ გეტყვ, ყრმაო, აღდეგ ცოცხლებით!“ და მეყსეულად განიკურნა. ჰრქუა ყრმასა მას წმიდამან ილარიონ: „წარვედ, შვილო, გიწესს დედაჲ შენი“. და აღდგა ყრმაჲ იგი ცოცხალი და შევიდა დედისა თჴსისა თანა. მაშინ აღდგა წმიდაჲ ილარიონ და წარვიდა სხუასა აღგილსა. ხოლო მწვეალმან მან აღიტაცა ყრმაჲ იგი და მოჴგუარა დედოფალსა თჴსსა. და იგი ჴკითხვიდა,

თუ ვითარ განიკურნა. ხოლო მან წარმოუთხრა ყოველი ნიშანი მათი და ენადცა. და მსწრაფლ შევიდა დედაკაცი იგი და უთხრა ქმარსა თვისსა და უჩუენა ყრმადცა იგი.

მაშინ ბრძანა მთავარმან სწრაფით დაცვაჲ კართა ქალაქისათაჲ და მოძიებაჲ წმიდისა მის. და პოვეს კარსა გარეგან აღმოსავალით კერძო მავალად, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო დაფარვად ქალაქისა მთასა ზედა დაფუძნებულისა. მაშინ დაცვეს ყოველნივე ქუეშე ფერჯთა მისთა, ხოლო მან ნეტარმან აკურთხნა და აღადგინნა იგინი. მაშინ ეუწყა მთავარსა მას და გამოვიდა შემთხუევად მისა და დავარდა წინაშე მისსა და ამბორს უყოფდა ფერჯთა მისთა. ხოლო მან, ნეტარმან, ულოცა და აღადგინა იგი. მაშინ წარიყვანა იგი მთავარმან სახლსა თვისსა და ევედრა წმიდასა ილარიონს, რათა გამოირჩიოს ადგილი, რომელიცა ენებოს და იყოფებოდის მას შინა. ხოლო მან გამოირჩია ადგილი მარჯუე და მყუდროჲ, და აღუშენეს ეკლესიაჲ ადგილსა მას. და ამცნო წმიდამან, რათა არა აწყინებდენ მას ზედადსზედა მომავალნი, და ესეცა ამცნო, რათა არა წარმოსცეს თვნიერ პაქსიმადი ჳმელი და ცერცჳ. და მრავალთა შეშურდა მოლუაწებაჲ მისი და ჳელითა მისითა იქმნნეს მონაზონ.

IX. დიაკონი ერთი თესალონიკელი განვიდა ვენაცსა თვისსა და შეიპყრეს იგი წარმართთა და წარიყვანეს ტყუედ. ამას მოეკსენა წმიდაჲ ილარიონ და ევედრებოდა ლოცვათა მისთა. და მას ღამესა ეძინა შეკრულსა და ეჩუენა წმიდაჲ იგი და ჳრქუა მას: „აღდეგ დიაკონო, ნუ გეშინინ“. და ვითარცა განიღჳმა, პოვა, რამეთუ განჳსნილი იყო საკრველთაგან. და აღდგა და განვლო ლაშქარი იგი და არავინ ცნა, მოვიდა და ქადაგებდა საკრველებასა მას და უთხრა წმიდასაცა მას.

შემდგომად ამისსა მოუწოდა წმიდამან მთავარსა მას და ჳრქუა: „კეთილად ჳყავ, რამეთუ შემიწყნარე გლახაკი ესე და ცოდვილი და უცხოჲ, ღმერთმან მოგეცინ სასყიდელი სიყუარულისა შენისაჲ ისწრაფე შეწყნარებად მონაზონთა და ეკრძალე მოხუეჳასა გლახაკთასა და შეიწყნარებდი უცხოთა და გლახაკთა“. და სხუაჲ მრავალი ასწავა და

განუტევა.

X. და შევიდა სენაკად და დაჯშა კარი თვსი. და ვითარ მოიწია შაბათი, მოუწოდა მოწაფე თა თვსთა და ულოცა და ასწავა ფრიად. და ეზიარა საიდუმლოსა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისასა და აღმოუტევა წმიდად სული თვსი. მაშინ მოვიდა მთავარი იგი ერთურთ და მოიღეს ლუსკუმად მარმარილოდსად. მაშინ, ვითარცა ეგულეზოდა დამარხვად მისი, მოვიდეს ორნი ემმაკეულნი და იტყოდეს: „ილარიონ ქართველო, რადასა განგუასხამ“. და ვითარცა მიეახლნეს წმიდასა მას, მსწრაფლ უჩინო იქმნნეს. მაშინ შემოსეს წმიდად იგი, დადვეს ლუსკუმასა მას შინა დიდითა პატივითა და ჰყოფდეს საჯსენკბელსა მისსა. და ამისსა შემდგომად მრავალნი კურნებანი აღასრულნა წმიდამან. ხოლო აღესრულა მამად ჩუენი ილარიონ თუესა ნოენბერსა ათცხრამეტსა, დღესა შაბათსა, ჟამსა მეხუთესა [დღისასა], მეფობასა ბასილისსა. და იყო წლისად ორმოცდა ცამეტისად, ქალაქსა შინა თესალონიკესა, და მეოხ არს ჩუენ ყოველთათვს ღმრთისა მიმართ სახიერისადა მრავალ-მოწყალისა.

XI. ხოლო შემდგომად გარდაცვალებისა მისისა დასნეულდა მე მთავრისად და განუსივნეს სარცხზნელნი მისნი და მუცელიცა მისი. და განწირეს იგი მკურნალთა. და მიიწია იგი სიკუდილად. მაშინ აღიღეს იგი მშობელთა მისთა და შეაგდეს იგი ლუსკუმასა თანა წმიდისა ილარიონისა. და მას ღამესა გამოუჩნდა წმიდად იგი და ჰრქუა. „პროკოპი, უკუეთუ არა აღმითქუა მე, რათა არა ხვდოდი უწესოდ, ვერ განიკურნო სენისა მაგისგან“. ხოლო მან ფიცით აღუთქუა ესე ყოფად. მაშინ [წმიდამან] დასდვა ჳელი მისი მუცელსა მისსა ზედა და ჰრქუა მას: „სახელითა იესუ ქრისტესითა ცოცხალ იქმენ“, და ჯუარი დასწერა. ხოლო იგი მსწრაფლ განიკურნა და, ვითარცა განიღვძა, ადიდებდა ღმერთსა და წმიდასა მას, რამეთუ ყოვლადვე არა იყო ვნებად მის თანა, და ამბორს უყოფდა ღარნაკსა მისსა, და მიუთხრობდა საკვრველებათა მისთა ყოველსა ერსა, და ადიდებდეს ღმერთსა და წმიდასა მას.

XII. მოწაფეთა ამის წმიდისათა მისცეს ფლასი ერთი წმიდისად ამის

ქურცისა ერთსა გლახაკსა. და წარილო მან დიდითა სარწმუნოებითა. და ვისცა სნეულსა დაჰბურის, პოის მან ლხინებად და მიუთხრობდის საკვრველებათა მისთა, და ყოველნი ადიდებდეს ღმერთსა.

XIII ესმნეს ღმრთის-მოყუარესა მეფესა ბასილის საკვრველებნი ამის წმიდისანი, რომელნი იქმნებოდეს თესალონიკეს შინა დღითი-დღე. ხოლო წიგნიცა მიუწერა ეპარხოზმან და პატრიაქმან თესალონიკელმან, და [აუწყა] გარდაცვალება და საკვრველებანი ამის წმიდისანი, და ადიდებდა ღმერთსა მეფე იგი. და დღესა ერთსა ბრძანა მეფემან ყოველთა მამასახლისთა მთისათა შესლვა და მის წინაშე. და ყო ოხჴანი დიდი მათ თანა და უთხრობდა მათ საქმეთა მის ნეტარისათა და რად იგი მიეწერა ეპარხოზსა და პატრიაქსა. მაშინ ვითარცა ესმა მამასახლისსა ულუმბელსა, რომლისა დისწული განეკურნა წმიდასა ილარიონს, იწყო მანცა მოკსენებად მეფისა, და რად იგი ექმნა სასწაული მისსა მონასტერსა წმიდასა ილარიონს. მაშინ ჰკითხა მეფემან, თუ: „არიან ვინა მოწაფეთა მისთაგანნი მთასა მას?“ და მან ჰრქუა, ვითარმედ: „არიან სამნი მოხუცებულნი კეთილნი მოწაფეთა მისთაგანნი“. ხოლო მეფემან ბრძანა სწრაფით მოყვანებად მათი დრომონითა სამეუფოდთა პალატად დიდითა პატივითა. და ვითარცა იხილა მეფემან მკცოვანებად იგი მათი შუენიერი, რამეთუ იყვნეს გრძელნი ჰასაკითა, შუენიერნი სიტყვთა და მდაბალნი გონებითა, ითხოვდა მათგან ლოცვისა ყოფასა მისთვს. და თქუა მეფემან: „ჴემმარიტად აჰა მონანი ღმრთისანი და სულისა ჩემისა მეოხნი! დიდებად ღმერთსა, რომელმან ღირს მე ცოდვილი მეფე ხილვად ღირსთა და წმიდათა მისთა“. და მიავლინნა იგინი პატრიაქ[ი]სა თანა. ხოლო მან განიხარა ფრიად, და მოიღეს კურთხევად ურთიერთას. და ეზრახა პატრიაქი ეპისკოპოსთა [თვსთა] თანა სულიერითა სიტყვთა, და ცნა ღირსებად მათი და სარწმუნოებად მათი და თქუა [ეპისკოპოსთა მათ]: „ესენი არიან, რომელთა მპარავი არა მიეხების, ამათ დიდი მადლი მომანიჴეს მე დღეს“. და მიუმცნო მეფესა ესრეთ, ვითარმედ: „ფრიად აღვშენდი ამათითა ხილვითა, და ჴემმარიტად ესენი არიან მსახურნი უფლისანი და მეოხნი სულთა ჩუენთანი, და უფალმან ლოცვითა მათითა

დაიფარენ მეფობად თქუენი ყოველთა სავნებელთაგან, და ჩუენ ყოველნი უკუნითი უკუნისამდე. ამინ”. მაშინ უბრძანა მეფემან, რათა რომელიცა გამოირჩიონ მონასტერი, აღიღონ იგი; ხოლო მათ ჰრქუეს მას: „არა გუერგების ჩუენ სხუათა აღშენებული მონასტერი, # მეფეო, რათა ჩუენ დავიპყრათ უცხოთა კაცთა და იგინი განვასხნეთ, რომელთა აღუშენებიეს, რათამცა წყევად მოვატყუათ მეფობასა თქუენსა, არა ვყოთ ეგე, არამედ, უკუეთუ გნებავს, განვიდეთ უდაბნოსა ადგილსა, სადაცა ენებოს ღმერთსა, და მუნცა აღგვშენე ეკლესიად, რათა ელოცვებოდის მეფობასა თქუენსა“. მაშინ აღივსო სიხარულით მეფე და წარგზავნნა იგინი სამეუფოდთა კაცითა. მოვლეს და მონახეს და პოვეს ღელესა შინა ერთსა წყაროები და ადგილი ვაკე და შუენიერი. განიხარეს ფრიად და აუწყეს მეფესა.

XIV. მაშინ მოვიდა მეფე ერთუერთ და მოაქუნდა ქვად თვთ მეფესა და ყოველსა ერსა მის თანა. და იწყეს შენებად ეკლესიასა და მონასტერსა და ადასრულეს შუდ თუე ყოველი საქმე მონასტრისად. და მოვიდა მეფე პატრიარქისა თანა და აკურთხა ეკლესიად და დასხნა ნაწილნი წმიდათა მოციქულთანი თუესა ოკდონბერსა ცხრასა. და შეწირნა მეფემან ჭურჭელნი ოქროსა და ვეცხლისანი, და სოფელნი და ქულბაქნი და მეტოქნი და ტყენი, და ყოველი საკმარი მონასტრისად უხუებით. და შექმნა თვთ მეფემან სენაკი ერთი და ლოგინი თავისათვს საგებლითუერთ, დადგნა საწიგნენი და სახარებად და პავლე და სხუად წიგნები მრავლად. და თქუა მეფემან: „ესე იყოს საყოფელი ჩემი ამათ ღირსთა მამათა თანა, თუ უფალსა ენებოს ვსნად ჩემი ცოდვათაგან“. და დასდვა ჰრომანად ქართველთად, და ჰრქუა მეფემან: „წმიდანო მამანო, ითხოვეთ რადცა საკმარ არს თქუენდა მეფობისაგან ჩემისას!“ ხოლო მათ ჰრქუეს: „ვითხოვთ შენგან, რათა აღიღო ყოველი უმსჯავროებად სამეფოდსაგან შენისა, რათა არა განრისხნეს შენ ზედა უფალი, და არა ცუდ იქმნას კეთილისყოფად შენი ჩუენდა მომართ“. გულ-სავსე იქმნა მეფე სიტყუათაგან მათთა და უფროდსი სიყუარული აქუნდა ყოველთა კაცთასა. მაშინ მოჰგუარნა მეფემან ორნი ძენი [თვსნი], ლეონ და

ალექსანდრე, და ჰრქუა: „ლოცვა ყავთ ამათოვს, წმიდანო მამანო, და ასწავეთ ამათ ენად და წიგნი თქუენი, რათა შვილნი ლოცვისა თქუენისანი იყვნენ ეგენი».

XV. ამისა შემდგომად მოეწერა შეყენებულსა დიდსა ეფთვმეს მოლუაწესა, კაცსა ღირსსა მეფისადა, რომელმან იცოდა გულისსიტყუად მისი, ვითარმედ. „ვიხილე მე ჩუენებასა შინა ცეცხლისა კუამლი საშინელი, და მესმა ჳმად. ვითარმედ: „ესე არიან ცოდვანი ბასილი მეფისანი“. [და მე ვთქუ, ვითარმედ: “ვინ] შემძლებელ არიან დაშრეტად ამისა?” და [კუალად] მესმა ჳმად. „ცრემლნი და კეთილისა საქმენი!“ მაშინ მოიხუნეს კეთილისა საქმენი შენნი ბრწყინვალეთა და შთაყარეს ცეცხლსა და იწყეს დაშრეტად დიდითა შრომითა; მაშინ ესმა ჳმად, რომელი ეტყოდა: „მოიღეთ უცხოთ-შეწყნარებად!“ და მოიღეს მცირე, ვითარცა მარცუალი იფქლისად, და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და შთააგდეს იგი [მას შინა]. მაშინლა იწყო კუამლმან მან და ცეცხლმან სრულიად განქარვებად. აწ ისწრაფე შეწყალებად უცხოთა და გლახაკთად“.

XVI. და ვითარცა წარიკითხა მეფემან წიგნი იგი, მოუწოდა ეპარხოზსა თესალონიკელსა, რომელი გარდაედგინა ხარკისათვს სამეუფოდსა, რომელსა მოეწერა მიცვალებად წმიდისა ილარიონისი და მისცა უზესთაესი პატივი და წარავლინა თესალონიკედ, რათა სწრაფით მოჰგუარნეს ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი, და მიწერა წიგნი ესევეითარი: „ბრძანებს მეფობად ჩუენი თესალონიკელთა მიმართ, რათა სწრაფითა დიდითა და პატივითა წარმოჰგზავნნეთ ნაწილნი ილარიონ ქართველისანი, თვნიერ ყოვლისა მიზეზისა და მშვდობით იყვენით“. და წმიდისა მიმართცა მიწერა ესრეთ თვსითა ჳელითა: „ბასილი, ცოდვილი მეფე, მონად ცათა მეფისად, გევედრები, წმიდაო მამაო ილარიონ, აღმოვედ ქალაქად [სამეუფოდ], დაღაცათუ არა ღირს ვიქმენ პირისპირ ხილვად შენდა, [გარნა აწ ღირს მყავ],

რათა ამბორს-უყო ნაწილთა შენთა წმიდათა, და იხაროს ქალაქმან ამან სამეუფომან“. და ვითარცა მიიწინეს მივლინებულნი იგი და წარიკითხეს

წიგნი იგი, ენება ერსა მას ქვისა დაკრებად სამეუფოთა მათ კაცთად, ხოლო მათ აღუთქუეს, რათა არა ყონ ესე. მაშინლა ძლით დააცხრვეს ერი იგი და აღდგა და განვიდა გარემო სოფლებსა ანთჳპატი იგი. და ღამით უბრძანა ახუმად ნაწილთა მის წმიდისათად უცნაურად. და შთასხნეს ლუსკუმასა მცირესა და საფლავი დაჰკრძალეს ეგრეთვე და წარვიდეს.

XVII. და ვითარ მიიწინეს კოსტანტინეპოლის და ეუწყა ესე მეფესა, მაშინ მიეგება სიხარულითა დიდითა და შეიყვანა იგი პალატად პატივით. დაუსუენა იგი ეგუტერსა თჳსსა და განიზრახვიდა მეფე, თუ რომელსა ადგილსა აღუმენოს სანაწილე. და მესამესა ღამესა ვითარ განიღჳდა მეფემან შუალამესა ოდენ, ეცა მას სურნელებად მიუთხრობელი. და იგონებდა მეფე, თუ რაჲ-მე არს, ანუ რომლითა საკუმეველთაგანი არს, და ვერ შეუძლო ცნობად. ჰკითხა საჭურისთა, რომელნი წვეს გარემო მისსა, ვითარმედ: „რაჲ არს სურნელებად ესე?“ ხოლო მათ ჰრქუეს: „ვფუცავთ მეფობასა თქუენსა, არასადა გზხილავს ესევეთარი სურნელებად. და ცნა ყოველმან პალატმან და ჰკითხვიდა მოყუასი მოყუასსა თჳსსა, ვითარმედ: „რომელთა სურნელთაგანი არს, არა უწყით“.

და ვითარცა მიერულა მეფესა, გამოუჩნდა წმიდად ილარიონ შემოსილი ზეწარითა და ჰრქუა მეფესა: „კეთილად ჰყავ შეწყნარებად ჩემი უცხოძსად, არამედ სურნელებად რომელი იყნოსე, მე არა მომიგიეს ქალაქთა შინა, არამედ უდაბნოთა შინა. აწ უკუეთუ გნებავს, რათა მადლი გაქუნდეს, წარმიყვანე უდაბნოსავე ადგილსა“. ვითარ განიღჳდა მეფემან, უთხრა ყოველსა ერსა, ვითარმედ: „უდაბნოს ჰნებავს წმიდასა ყოფად“. და ყო ლიტანიად და აღიხუნა ნაწილნი წმიდისანი და შეჯდა დრომონსა სამეფოსა. და მიიყვანეს ეკლესიასა მთავარ- ანგელოზთასა, და მერმე დაადგინნეს ეტლნი სამეუფონი, აღჯდა და მივიდა რომანას და დაუსუენა მუნ შინა, და ყო დღესასწაული თუესა დეკენბერსა შჳდსა, და შეწირა მეფემან თუესა შინა ათორმეტი დრაჰკანი ეკლესიასა მას, რათა მარადის ენთებოდის ექუსი კანდელი დაუვსებელად ნაწილთა ზედა წმიდათა მოციქულთასა, და წმიდისა ილარიონის ნაწილთა ზედა სამ-სამი, და პალატით სეფისკუერი ორი მიეცემოდის ყოველთა დღეთა, და

მონაზონთა მიეცემოდის სასამოსლე ორი ლიტრად ოქროდ თუესა დეკენბერსა შვდსა; და უწოდა [სახელად] თვსა მონასტერი და გამოთქუა ენკომი, (რომელ არს შესხმად). წმიდისა ილარიონისი ბასილი ასიკრიტმან სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.